საქართველოს მთავრობის

დადგენილება №149

2021 წლის 2 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/09/2018, 010240030.10.003.020789) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების 8^1 მუხლის:

1. **„გ.ა.ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ.ა.ნ) დასაქმების ხელშეწყობის, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის საკითხებისა და ამ ფუნქციის განმახორციელებელი სამინისტროს სისტემის ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;“.

2. **„გ.ა.ო “-„გ.ა.უ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.**

მუხლი 2

1. ამ დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის საკითხების სამინისტროდან სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელდეს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისა და სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს რეორგანიზაცია.
2. სამინისტრომ უზრუნველყოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია.

3. სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიეცეს უფლება, ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის საკითხების განხორციელების მიზნით, მოახდინოს სამინისტროში ამ მიმართულებით დასაქმებული შესაბამისი პირ(ებ)ის უკონკურსოდ დანიშვნა.

მუხლი 3

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს 2021 წლის 1 მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**